საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

2487-01-01-10-2-202206081735

https://edocument.ge/AdjaraGov/public

N 01-01-10/2487
08/06/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარეს

ბატონ თორნიკე რიჟვაძეს

ბატონო თორნიკე,

როგორც მოგეხსენებათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N27 განკარგულებით შექმნილია სახელმწიფოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ე.წ. ოცნების ქალაქში) მოქალაქეთა მიერ თვითნებურად დაკავების ფაქტების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ჯგუფის მიერ და შემუშავებული იქნა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დადგინდება, თუ ვინ შეიძლება იყოს ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) ბენეფიციარი და რა შემთხვევებში ვერ ჩაერთვება მოქალაქე პროგრამაში. სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა რიგითობის განსაზღვრაზე, რომლის დაცვითაც დაკმაყოფილდება პროგრამაში მონაწილე ოჯახები. კერძოდ, სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

„1. ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) მოსარგებლედ განისაზღვროს ოჯახი, რომლის შემადგენლობა აღწერილია და რეგისტრირებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და მათ მიერ დაკავებულ საცხოვრისს მინიჭებული აქვს ნომერი (2019 წლის მდგომარეობით).

2. განისაზღვროს პროგრამაში მონაწილეობის გამომრიცხავი კრიტერიუმები (გარემოებები), რომელთა არსებობის შემთხვევაში ოჯახი ვერ ისარგებლებს პროგრამით:

2.1. პროგრამით ვერ ისარგებლებს:

ა) ოჯახი, რომელსაც 2019 წლის 1 იანვრიდან საკუთრებაში გააჩნია თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) მდებარე უძრავი ქონება;

ბ) ოჯახი, რომელმაც 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ გაასხვისა თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) მდებარე უძრავი ქონება;

გ) ოჯახი, რომელსაც 2017-2021 წლებში უწყვეტად მიღებული აქვს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი და მეტი შემოსავალი;

დ) ოჯახი, რომელმაც ისარგებლა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით;

ე) ოჯახი, რომელსაც სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის მიერ გადაეცა საცხოვრებელი ბინის, სახლის, მიწის, განსახლების კომპენსაცია არანაკლებ 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა ან/და საცხოვრებელი ფართი.

2.2. დადგენილი კრიტერიუმების მიზნებისათვის ოჯახი შედგება სამუშაო ჯგუფის მიერ რეგისტრაციის შედეგად ანკეტურ მონაცემებში აღწერილი პირებისაგან, აგრეთვე აღწერის შემდეგ დაბადებული ბავშვისა და ქორწინების საფუძველზე შემატებული წევრისაგან.

3. პროგრამით მოსარგებლე ოჯახებისათვის, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, დადგინდეს შემდეგი რიგითობა:

3.1. საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობისათვის და მიმდინარე მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი სივრცის (გზა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა და ა.შ) მოწყობისათვის გამოსათავისუფლებელ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები (ტერიტორიული პრინციპით);

3.2. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი;

3.3. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;

3.4. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია სპეციალური სამედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე პირი (პირი, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, თუმცა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს ხანგრძლივ ან/და მუდმივ სამედიცინო მომსახურებას);

3.5. მარტოხელა მშობელი;

3.6. მარჩენალდაკარგული;

3.7. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირი;

3.8. მრავალშვილიანი ოჯახი (3 და მეტი არასრულწლოვანი შვილი);

3.9. ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არაუმეტეს 120 000 სარეიტინგო ქულით;

3.10. მრავალსულიანი ოჯახი (7 და მეტი წევრი);

3.11. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია ომის ვეტერანი ან მასთან გათანაბრებული პირი;

3.12. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია საპენსიო ასაკის პირი;

3.13. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი;

3.14. ოჯახი, რომლის შემადგენლობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი;

3.15. იპოთეკით დაზარალებული ოჯახი (ოჯახი, რომელმაც იპოთეკის გამო დაკარგა საცხოვრებელი სახლი).“.

წარმოგიდგენთ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს (სამუშაო ჯგუფის სხდომის 2022 წლის 30 მაისის N10 ოქმი).

დანართი: „06“ ფურცელი

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.